ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქ.N18-ის მიმდებარედ არსებული 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.14.11.014.028) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ო-ემ ჯგუფისთვის“ (ს/ნ.: 404548245) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N37-ის მიმდებარედ არსებული 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.18.04.006.052) პირდაპირი განკარგვის წესით სს „ტერაბანკისთვის“ (ს/ნ.: 204546045) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში პანდუსის და კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „ქალაქ თბილისში, შარტავას ქუჩა N42-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.10.13.012.030) პირდაპირი განკარგვის წესით თამარ შეითნიშვილისთვის (პ/ნ.: 01005002157) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში კიბის ფუნქციონირების მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

21. „ქალაქ თბილისში, ბამბის რიგის მიმდებარედ არსებული 422 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.061.041) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არტ-მონტესთვის“ (ს/ნ.: 406159151) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

22. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N15-ის მიმდებარედ არსებული 59 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.19.33.001.264) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მოდინახესთვის” (ს/ნ.: 439393835) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

23. „ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი N118-ის მიმდებარედ არსებული 39 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N 01.13.05.002.089) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბურგერ ბარ კომპანისთვის“ (ს/ნ.: 405241563) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

24. „ქალაქ თბილისში, მცხეთის ქუჩა N4-ის მიმდებარედ არსებული 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.14.11.036.011) პირდაპირი განკარგვის წესით მაია ჩავლეიშვილისთვის (პ/ნ.:

01021017124) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

25. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ.: N01.16.05.032.024) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ზუხრა ტატიშვილისთვის (პ/ნ.: 01030001988) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

26. „ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქ.N2-20-ის მიმდებარედ არსებული 1492 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.14.11.031.048) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კანაპესთვის“ (ს/კ.: 205178635) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

27. „ქალაქ თბილისში, ფოსტის შესახვევი N11-ში მდებარე 325 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.17.01.101.008) და ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის III მ/რ, კორპ. N8-ის მიმდებარედ არსებული 934 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.10.08.006.627) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ამხანაგობის და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მონაცვლეობის საკითხი. ამასთანავე, ამხანაგობა

გადაიხდის გასაცვლელ მიწის ნაკვეთებს შორის არსებულ ფასთა სხვაობას, 45000 ლარს, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

28. „ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქ.N34-ის მიმდებარედ არსებული 108000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: 01.18.01.002.260) და ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში არსებული 10294 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: 01.18.01.002.263) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის და კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მონაცვლეობის საკითხი, კერძოდ, ნადიკვარსა და ოქროყანაში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები იცვლება კუს ტბის ასახვევში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ გაუგებარია რატომ უცვლის მუნიციპალიტეტი თითქმის 12 ჰექტარ მიწის ნაკვეთს კერძო მესაკუთრეს 2280 კვ.მ. მიწის ნაკვეთში და მოითხოვა დამატებითი განმარტებები.

ირაკლი ზარქუამ განმარტა, რომ წინა ხელისუფლებამ, გარკვეული მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ, კერძო სექტორს, საკუთრებაში გადასცა 2280 კვ.მ. მიწის ნაკვეთი რეკრეაციულ ზონაში, კერძოდ, კუს ტბის ასახვევთან. დღევანდელმა ხელისუფლებამ, რეკრეაციული ზონის შენარჩუნების მიზნით, მესაკუთრეს შესთავაზა მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა. მიუხედავად იმისა, რომ მიწის ნაკვეთების ფართობები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან, ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის საფუძველზე, მათ ღირებულებებს შორის განსხვავება 77000 ლარია და ამ თანხას კერძო სექტორი გადაიხდის ბიუჯეტის სასარგებლოდ. აღსანიშნავია ისიც, რომ ის ტერიტორია, რომელიც გადაეცემა კომპანიას, არის კლდოვანი, ფაქტობრივად ხევია და მისი სრულად ათვისება გამოუსადეგარი იქნება. ირაკლი ზარქუას თქმით, ეს მოცემულობა საერთოდ რომ არ ყოფილიყო, იქნებოდა გაცილებით უკეთესი, თუმცა ამ ეტაპზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ კუს ტბის მიმდებარე ტერიტორია შენარჩუნდეს, როგორც რეკრეაციული ზონა.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ კერძო მესაკუთრე, კუს ტბის ტერიტორიაზე ვერასდროს ვერაფერს ააშენებს, ხოლო იმ მიწის ნაკვეთებს, რომლების გადაცემაც იგეგმება, გამოიყენებს სამშენებლოდ. აქედან გამომდინარე, ხვალ შეიძლება ქალაქს დაუდგეს იგივე პრობლემა, რადგან არანაკლებ პრობლემურია ნადიკვრის და ოქროყანის ტერიტორიების სამშენებლო განვითარება. აღსანიშნავია ისიც, რომ განახლებული გენ.გეგმით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა, რაც ამ მიწის ნაკვეთების სამომავლო ღირებულებას გაზრდის და გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე დღეს არის. მისი თქმით, ინვესტორის უფლებები დაცული უნდა იყოს, თუმცა არა ამ ფორმით და განაცხადა, რომ წარმოდგენილ საკითხს მხარს არ დაუჭერს.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ წინა ხელისუფლების დროს, მიწის ნაკვეთის მონაცვლეობასთან ერთად, კერძო მესაკუთრესთან გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მიწის ნაკვეთზე ტურისტული-სასტუმროს მშენებლობას გარკვეულ ვადაში, არანაკლები 250000 ლარის ინვესტიციის განხორციელებით. თუმცა, საპრივატიზებო პირობის შესრულება ვერ განხორციელდა მერიის შესაბამის უწყებასთან სამშენებლო საკითხების

შეთანხმების მიუღწევლობის გამო და შესაბამისად, მიადგა ზიანი. აღსანიშნავია ასევე, რომ მიზანშეწონილი არ არის კუს ტბის ტერიტორიის სამშენებლო განვითარება, სარეკრეაციო ზონად მიჩნევის გამო და ამასთანავე, კომპანიისთვის გადასაცემი ტერიტორია არის ხევი და სამშენებლოდ გამოუსადეგარია.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ ცალსახად იმის თქმა, რომ კომპანიისთვის გადასაცემი ტერიტორია არის ხევი და მისი სამშენებლოდ გამოყენება შეუძლებელია, არასწორია, რადგან ამ ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონის სტატუსი და, რა თქმა უნდა, კომპანიას ამ ტერიტორიის ჩანაცვლება სურს სამშენებლო განვითარების მიზნით. მისი თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ნამდვილად არსებობს გარკვეული კითხვის ნიშნები და გადაწყვეტილების მიღებამდე, უმჯობესი იქნება მისი დეტალურად შესწავლა, თუნდაც ინვესტორთან შეხვედრა და გარკვევა, როგორ წარმოუდგენია ამ ტერიტორიის სამომავლო განვითარება. რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთების ჩანაცვლებასთან დაკავშირებით მომართვიანობა დიდია და მიმართა მერიის წარმომადგენლებს, რომ განურჩევლად იმისა, მოქალაქეს ექნება თუ ინვესტორს მსგავსი მიმართვა, საკითხის გადაწყვეტა მოხდეს ოპერატიულად და სამართლიანად.

ბექა დავითულიანმა განაცხადა, რომ არავის უნდა ქალაქის საკუთრებაში არსებული 10 ჰექტარი „თუნდაც ხრიოკი მიწა“ ჩავანაცვლოთ 2300 კვ.მ. მიწის ნაკვეთში. თუმცა, ერთია ჩვენი შეფასება და მეორეა ექსპერტიზის შეფასება, რომლის დასკვნის მიხედვითაც ამ მიწების ღირებულება ერთი და იგივეა. ამ ეტაპზე, მუციპალიტეტს აქვს არჩევანი - დარჩეს ყველაფერი, როგორც არის და რადგან კომპანიას აქვს მშენებლობის ნებართვა, ვერ ვიტყვით, რომ ის იქ ვერასდროს ვერაფერს ააშენებს ან უნდა მოხდეს მიწის ნაკვეთების ჩანაცვლება.

ლევან ჯაფარიძემ გამოთქვა მოსაზრება, იქიდან გამომდინარე, რომ დღეს, მიწის ნაკვეთების ჩანაცვლების მოთხოვნის საკმაოდ ბევრი შემთხვევაა და შესაძლებელია მუნიციპალიტეტს საკუთრებაში თითქმის აღარ დარჩეს ჩასანაცვლებელი მიწის ნაკვეთი, ამ შემთხვევაში, უკეთესი ხომ არ იქნება, მუნიციპლიტეტმა კი არ ჩაანაცვლოს, არამედ გამოისყიდოს ტერიტორია კერძო მესაკუთრისგან.

მარიკა დარჩიამ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორია, სადაც დღეს არის ხევი, თუმცა სამომავლოდ შესაძლებელია მისი სამშენებლოდ გამოყენება, ხვალ შეიძლება იქცეს პრობლემად, თუნდაც გარემოს დაცვის კუთხით და მიმართა საკრებულოს წევრებს, ასეთი ჩანაცვლებების დროს, საკრებულომ საკუთარ თავზე აიღოს მეტი კონტროლი.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ მიწის ნაკვეთების მონაცვლეობისას, როდესაც ადამიანის საკუთრების უფლება იქნა შელახული, უნდა იყოს ერთიანი მიდგომა და არა ორმაგი სტანდარტი. რაც შეეხება ამ კონკრეტულ საკითხს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალში შესაძლებელია ამ ტერიტორიაზე დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა. თუმცა, ექსპერტიზის მიერ შეფასება გაკეთებულია სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით და არა მიწის ნაკვეთის დღევანდელი ღირებულებით. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულმა საკითხმა საკრებულოს წევრებს შორის გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა, გიორგი ტყემალაძემ, საკითხის დეტალურად შესწავლის მიზნით, კოლეგებს შესთავაზა მისი განხილვის გადადება, რასაც დაეთანხმნენ საკრებულოს წევრები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხის განხილვის გადადების წინადადება.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

29. „ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქ. კორპუსი N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.009.003.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 44 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი პირისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

30. „ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.08.004.068) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 5 ერთეული ფართის საკუთრებაში გადაცემა ოთხი პირისთვის, რომლებიც აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ 1994 წლიდან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

31. „ქალაქ თბილისში, გლდანის I მიკრორაიონის კორპუსი N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.007.013) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 3 ერთეული ფართის საკუთრებაში გადაცემა სამი პირისთვის, რომლებიც აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ 2001 წლიდან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

32. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის მე-3 მიკრორაიონის კორპუსი N28-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.024.017.01.128) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 47.26 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი პირისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

33. „ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილსა და შერვაშიძის ქუჩას შორის მდებარე 900 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.08.075.025), ქ.თბილისში, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა ქუჩაზე მდებარე 1817 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.001.108), ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრზე მდებარე 1367 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.007.615), ქ.თბილისში, ნუციბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ 2173 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.11.001.168), ქ.თბილისში, წურწუმიასა და ნ.ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.01.050.017) შპს „კაზ ფროფერთი მენეჯმენტ ისთ“-ისთვის (ს/კ.: 404520363) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N130 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ შპს-ს გადაცემული ჰქონდა 5 ერთეული მიწის ნაკვეთი, გაზგასამართი სადგურების მოწყობის მიზნით. თუმცა, სადგურის მოწყობა ვერ განახორციელა ორ ობიექტზე, რისი მიზეზიც ერთ შემთხვევაში არის ის, რომ ერთ-ერთ ტერიტორიაზე სატრანსპორტო საქალაქო სამსახური არ ითანხმებს პროექტს, ხოლო მეორე ლოკაციაზე ბევრი ხე-ნარგავებია და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია გადარგვითი სამუშაოების ჩატარება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანია ითხოვს ამ ორი ლოკაციის ამოღებას საიჯარო ვალდებულებიდან, რაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

34. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ეკა ცეცხლაძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ამ ეტაპზე, ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია 5 პოზიცია (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილები: N12-0318326180-03 თარიღი: 22.11.2018 (3 პოზიცია); N12-0318326191-03 თარიღი: 22.11.2018 (2 პოზიცია), რომლებზეც ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის და გარემოს დაცვის კომისიების რეკომენდაციების გათვალისწინებით, დადებითად შეფასდა. გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

35. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის N320 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით მიწის ნაკვეთების რაოდენობა 8-ის ნაცვლად, იქნება 7 და განაშენიანების სავალდებულო ლურჯი ხაზები 10 მეტრის ნაცვლად იქნება 7 მეტრი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

36. „ქ.თბილისში, საბურთალოს საცხოვრებელ რაიონში, V კვარტალში, სანდრო ეულის ქ.N5, საბურთალოს საცხოვრებელ რაიონში, V კვარტალში, სანდრო ეულის ქ. N5/ჯიქიას ქ. N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი მიკრო - უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 31 მარტის N676 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ ცვლილებით შემოთავაზებულია 14 სექტორზე შენობების კონფიგურაციის ცვლილება, კერძოდ, სართულიანობის შემცირება, პარკინგის ფუნქციის დამატება და მცირე ზომის დროებითი ნაგებობების განთავსება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

37. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას N31-ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.006.118.) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ საპროექტო არეალი შეადგენს 18761 კვ.მ.-ს, ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 და მცირე ნაწილზე სამრეწველო ზონა 1. დაგეგმილია საზოგადოებრივი მაუწყებლის ადმინიტრაციული შენობა-ნაგებობების მშენებლობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

38. „ქალაქ თბილისში, ჯიქიას ქუჩა N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: N01.14.05.008.204) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ ტერიტორიის ფართობია 9440 კვ.მ., ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 და სატრანსპორტო ზონა 1. დაგეგმილია საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა. აღსანიშნავია, რომ საპროექტო წინადადებით შემოთავაზებული არ არის არც საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ცვლილება და არც კოეფიციენტების გადამეტება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

39. „ქ.თბილისში, დიდუბე - ჩუღურეთის რაიონში, ახმეტელის ქუჩა N10ა-ში, შ.პ.ს “სამშენებლო კომპანია ახალი სტილი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, მრავალფუნქციური კომპლექსის (საზოგადოებრივ - საქმიანი, სავაჭრო - საყოფაცხოვრებო, საცხოვრებელი და სხვა) განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 12 თებერვლის N01/120 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით დაგეგმილია ორი საკადასტრო ერთეულის გაერთიანება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

40. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ძევერის, დოესის, კობარეთის და გარე კახეთის ქუჩებს შორის არსებული კვარტლის საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 თებერვლის N28 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული

განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია ორი საკადასტრო ერთეულის ამორიცხვა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

41. „ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ საპროექტო არეალზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 2. დაგეგმილია ტერიტორიის განვითარება უკვე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მიხედვით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 7 დადგენილება და 33 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი